



**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი/Doctor of Political Science

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 60 კრედიტი.

**სწავლების ენა:** ქართული

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი:** ბაკურ კვაშილავა

**პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი:** ნათია ჭიღვარია

**პროგრამის მიზანი:**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია აღნიშნული დარგის განვითარება, კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და ახალი ცოდნის შექმნა დარგის პოპულარიზაციის ხელის შეწყობის მიზნით. ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება პოლიტიკის მეცნიერებაში კვლევის და სწავლების მიმართულებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ანალიტიკური კვლევითი ცენტრებისთვის და სხვა ორგანიზაციებისთვის, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული სფეროს შემდგომი განვითარებისთვის.

**პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია:**

- პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული ცოდნის გაფართოება დარგის უახლესი მიღწევების საფუძველზე, ინოვაციური, თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვის შემოთავაზებით, სფეროში არსებული აქტუალური საკითხების სისტემური და კრიტიკული გააზრების ხელისშეწყობა, ანალიზი და შეფასება ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მისაღებად. ახალი ცოდნის გენერირება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შესაბამისად, (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). დარგის განვითარების ხელისშეწყობა მასში არსებული პრობლემატური საკითხების ეფექტურად გადაჭრის გზით.
- კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ინოვაციური კვლევების განხორციელებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით, ახალი მეთოდების შემუშავებას და პრაქტიკულად გამოყენებას არსებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. პოლიტიკის მეცნიერების სფეროში აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვას, წარმართვას და განხორციელებას, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კონტექსტში. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს

გამოუმუშოს ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის ქართულ და ინგლისურ ენაზე;

- სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდების და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სტუდენტებს საკუთარ ცოდნასა და უნარებს გადასცემენ, აქედან გამომდინარე ხელს უწყობენ მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამის წვლილს შეაქვთ საზოგადოებრივ წინსვლაში;
- კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც ფლობენ სამეცნიერო პროდუქტის მართვისა და კომერციალიზაციის უნარს, შეუძლიათ დარგში არსებული პრობლემების მართვის მიზნით ინოვაციური მეთოდების გამოყენება და სამეცნიერო, განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მოზიდვა, მართვა და შეფასება.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს შემდეგ დარგებში: პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება, საჯარო მმართველობა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, საზოგადოებრივი გეოგრაფია.

კანდიდატები პროგრამაზე ჩაირიცხებიან ინგლისურ ენაში გამოცდისა და დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე.

დარგობრივ კომისიასთან გასაუბრებაზე დოქტორანტობის კანდიდატმა მოთხოვნილ საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტის განაცხადი (1000 სიტყვა), რომელიც მოიცავს პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთვის შესაბამისი კვლევის საკითხის სამეცნიერო სიახლეს, აქტუალობას, სავარაუდო მეთოდოლოგიურ ჩარჩოსა და საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებს.

### **სადოქტორო პროგრამის შესაძლო საკვლევო თემატიკა**

პოლიტიკის მეცნიერების დარგისთვის შესაბამისი საკვლევო თემები, რომლის ხელმძღვანელობის კომპეტენცია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია, განისაზღვრება შემდეგი ჩამონათვალით:

1. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიზაცია
2. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური საზოგადოება
3. გარდამავალი რეჟიმები

4. ჰიბრიდული რეჟიმები
5. დემოკრატიული რეფორმები
6. ლიბერალიზაცია
7. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები
8. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, განვითარება და როლი თანამედროვე მსოფლიოში
9. სამოქალაქო კონფლიქტები
10. ეთნორელიგიური ურთიერთობები და პოლიტიკური/საზოგადოებრივი ჩართულობის პრობლემატიკა
11. ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში
12. გარემოსდაცვითი პრობლემატიკა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტში თანამედროვე ეპოქაში
13. საარჩევნო სისტემები და მათი გავლენა პოლიტიკურ საზოგადოებაზე
14. კონსტიტუციური მოწყობის ფორმები და მათი გავლენა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე
15. ფედერალიზაციისა და დეცენტრალიზაციის გავლენა სამოქალაქო და ეთნორელიგიური კონფლიქტების დარეგულირებასა და მართვაზე
16. საერთაშორისო ვაჭრობა და ძალთა ბალანსი
17. ახალი მსოფლიო წესრიგი
18. ლიბერალური მშვიდობა და მისგან გამომდინარე პროცესები და შედეგები
19. საერთაშორისო მოვლენების ანალიზი პოლიტიკური რეალიზმის სხვადასხვა ნაირსახეობების მიხედვით
20. საერთაშორისო მოვლენების ანალიზი პოლიტიკური რეალიზმის კონსტრუქტივიზმის მიდგომების გამოყენებით
21. რაციონალური არჩევანის თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში
22. თამაშების თეორიის გამოყენება შიდა და საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზისთვის
23. ომისა და მშვიდობის სტრატეგიები
24. დიდი სტრატეგიის გამოყენება და ანალიზი
25. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სისტემაში
26. ლიდერი საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ არენაზე
27. მეთოდოლოგიების ევოლუცია საერთაშორისო ურთიერთობებში
28. პოლიტიკური რისკების ანალიზი
29. ქვეყნის რისკების ანალიზი; სხვადასხვა მოდელები
30. საგარეო პოლიტიკის ანალიზი
31. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები
32. ტერორიზმის ევოლუცია, გამოწვევები და საფრთხეები
33. საგარეო დაზვერვა და კონტრდაზვერვა ისტორიულ და თანამედროვე ასპექტში
34. კიბერუსაფრთხოების საკითხები
35. არასახელმწიფოებრივი აქტორები საერთაშორისო არენაზე
36. ერისა და სახელმწიფოს გენეზისისა და განვითარების საკითხები
37. ნაციონალიზმის საკითხები
38. იდეოლოგიები და პოლიტიკური კონკურენცია
39. პოპულიზმი და რადიკალიზაცია თანამედროვე ეპოქაში
40. პოლიტიკური რეჟიმები

41. ინსტიტუციების თეორიები და ინსტიტიციების როლი პოლიტიკაში, პოლიტიკურ ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში

42. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისა და ჩართულობის საკითხები

ჩამონათვალი არ ამოწურავს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებულ კვლევის საკითხებს

### პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები:

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

- პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი იცნობს დარგს სიღრმისეულად, სისტემურ დონეზე და შეუძლია არსებული ცოდნის ინტეგრირება. ზედმიწევნით აღწერს დარგში არსებულ თეორიებსა და კონცეფციებს, სიახლეებსა და პრობლემებს, იცნობს მათი კრიტიკული ანალიზის საფუძვლებს. სისტემურად და კრიტიკულად იაზრებს დარგში არსებულ პრობლემებს პოლიტიკის თეორიების კონტექსტში. აცნობიერებს პოლიტიკის მეცნიერების ინტერდისციპლინარულ კონტექსტს და მის კავშირს სხვა დისციპლინებთან, რასაც საჭიროების მიხედვით იყენებს კვლევის დროს.
- იყენებს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების შესაბამის კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს, ანალიზის შესაბამის ტექნიკებს. აქვს სრულყოფილი წარმოდგენა დარგში ახალი ცოდნის გენერირების მიზნით, როგორც კვლევის წარმოების პროცესის დაგეგმვის, ასევე ინოვაციური და ორიგინალური მიდგომებით მართვის შესახებ.
- აცნობიერებს სამეცნიერო ცოდნის კომერციალიზაციის შესაძლებლობებსა და საზღვრებს, იცის სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მიღებული მტკიცებულებების, საზოგადოებრივი პრობლემების მართვისა და გადაწყვეტის მიზნით გამოყენების პოტენციალი. ზედმიწევნით ფლობს ინფორმაციას სამეცნიერო და განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მოზიდვის, მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ.

#### **უნარი**

- პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს აქვს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად და სისტემური ანალიზის გზით გადაჭრის უნარი. დამოუკიდებლად იღებს სწორ, ეფექტურ გადაწყვეტილებას პოლიტიკის მეცნიერების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს, ახორციელებს და აფასებს კვლევას, ორიგინალური, ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული მიდგომებით.
- პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი ქმნის სფეროში ახალ ცოდნას სადისერტაციო ნაშრომის ან მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის სახით, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისთვის წაყენებულ სტანდარტებს. ასევე, ახალ ცოდნას დასაბუთებულად, გარკვევით წარმოაჩენს და გადასცემს როგორც კოლეგებს, ასევე ფართო საზოგადოებას, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, შესაბამისად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში.
- პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი იყენებს სწავლების უახლეს მეთოდებსა და სტრატეგიებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პოლიტიკის მეცნიერების ან მომიჯნავე დარგებში სალექციო კურსების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.
- პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს აქვს სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის კომერციალიზაციის უნარი, დარგში არსებული პრობლემების მართვის მიზნით, ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით შეუძლია სამეცნიერო და განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მოზიდვა, მართვა და შეფასება.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ღირებულებათა სისტემა, პატივს სცემს განსხვავებებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას, ზედმიწევნით იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთვის შესაბამის აკადემიურ, კვლევით პროექტებსა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დამოუკიდებლად მართვის პროცესში.
- დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს და კვლევით პროექტებს, შეუძლია ფონდების მოძიება, დაფინანსებული პროექტების დაგეგმვა, ეფექტურად მართვა და პროცესის მონიტორინგი/შეფასება. აღნიშნულ პროცესში ავლენს ინოვაციურობას დარგში არსებული ცოდნის და უახლესი მიღწევების სინთეზირებით და ახლებური ორიგინალური ინტერპრეტაციით.

**პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N1**

პროგრამის მიზნები				
სწავლის შედეგები	მიზანი 1 პოლიტიკის მეცნიერების სფეროს განვითარება ცოდნის გაფართოების და კვლევის ხელისშეწყობის გზით	მიზანი 2 დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური მკვლევრის ჩამოყალიბება	მიზანი 3 მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება	მიზანი 4 სამეცნიერო პროდუქციის კომერციალიზაციისა და საზოგადოებრივი პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტის უნარის გამომუშავება
<b>ცოდნა გაცნობიერება</b>				
სწავლის შედეგი 1	✓		✓	
სწავლის შედეგი 2	✓	✓		✓
სწავლის შედეგი 3	✓	✓	✓	✓
<b>უნარი</b>				
სწავლის შედეგი 1	✓	✓	✓	
სწავლის შედეგი 2	✓	✓		✓
სწავლის შედეგი 3			✓	
სწავლის შედეგი 4	✓	✓		✓
<b>ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა</b>				
სწავლის შედეგი 1		✓	✓	✓
სწავლის შედეგი 2	✓			✓

**სწავლება-სწავლის მეთოდები:**



პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ძირითადი სწავლება/სწავლის მეთოდები გულისხმობს ლექციას, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, სემინარს, ელექტრონული რესურსით სწავლებას. არსებული სალექციო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ სხვადასხვა მეთოდს, რაც ეყრდნობა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია, როგორც ცოდნის გაფართოებაზე, ასევე საჭირო უნარების განვითარებაზე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სასწავლო კურსის მიზნისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია ინტერაქციული მიდგომების დანერგვაზე სწავლების პროცესში, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და აქტივობების გამოყენებას სხვადასხვა კურსების საკითხების, კურსის, როგორც მთლიანობისა და პროგრამის მიზნების გათვალისწინებით. სალექციო სწავლების გარდა, პროცესი ეფუძნება დისკუსიისა და დებატების მეთოდებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, ჯგუფურ (collaborative) მუშაობას დოქტორანტების აქტიური ჩართულობის, სამომავლო აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა დოქტორანტების პრაქტიკულ ჩართულობას, კრიტიკული და მეტა-კოგნიტური უნარების განვითარებას, რეფლექსიების, აკადემიური ჩანაწერების, ავტობიოგრაფიული სკეტჩების, პრაქტიკული მაგალითების ანალიზის, პორტფოლიოს მეთოდების გამოყენების საშუალებით, პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროექტით სწავლების, ურთიერთსწავლებისა და ურთიერთშეფასების გამოყენებას სწავლებაში. პროგრამაში გამოიყენება დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, მოხსენება, დედუქცია-ინდუქცია, როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიშის ტექნიკა, შემთხვევების ანალიზი (Case study), პანელური განხილვები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე

### **დასაქმების სფერო:**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მკვლევრის/ანალიტიკოსის პოზიცია კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრო, კერძო და სხვა ორგანიზაციებში, ასევე აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვებიან, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №3 დანართში.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტს მიღმა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობანი** - სადოქტორო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.)

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სადოქტორო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition

Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის და სადოქტორო პროგრამის სტუდენტების სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში არსებობს სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები:** ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევების დეპარტამენტი სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს სთავაზობს რამდენიმე მხარდამჭერ მექანიზმს, რაც პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებასა და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას უზრუნველყოფს. კერძოდ:

- სადოქტორო პროგრამის დასრულების მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით GIPA-მ უნივერსიტეტის იმ აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რომელიც სადოქტორო დისერტაციის დასრულების ეტაპზე იმყოფება, დანერგა აკადემიური ანაზღაურებადი შვებულება (ე.წ. research sabbatical), რომლიც 2018 წლის საშემოდგომო სემესტრიდან ხორციელდება.
- კვლევების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან გამოიყო სადოქტორო სასტიპენდიო დაფინანსება (Ph.D Research Support Scholarship) იმ დოქტორანტი სტუდენტებისთვის, რომლებსაც კოლოქვიუმის წარმატებით დაცვის შემთხვევაში, საკონკურსო წესით, ეძლევათ საუნივერსიტეტო ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობა სადოქტორო კვლევის ფარგლებში განსახორციელებელი ემპირიული მონაცემების შეკრებისა და გაანალიზებისთვის. აღნიშნული ინიციატივა ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიუჯეტში ინტეგრირებულია 12 ათასი ლარის ოდენობით (3 ათასი ლარის ფარგლებში ყოველწლიურად 4 დოქტორანტის მხარდასაჭერად), რაც მოხმარდება საკონკურსო წესით კვლევების დეპარტამენტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა ემპირიული კვლევისა და საველე სამუშაოების ხარჯების დაფარვას.
- სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის მიერ გამოყოფილ საუნივერსიტეტო მცირე კვლევების საგრანტო პროექტებშიც.
- სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს უნივერსიტეტი უფინანსებს საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობასაც. სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელებულ საზაფხულო/ზამთრის სკოლებში, რაც მათ პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს



- სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ორმაგი, ბრმა რეცენზირების პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამოაქვეყნონ საკუთარი პუბლიკაცია, მათ შორის თანაავტორობის საფუძველზე, უნივერსიტეტის ინგლისურენოვან ელექტრონულ რეცენზირებად ჟურნალში „პოლიტიკა და დემოკრატიზაცია“.
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჩართულობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ერაზმუს+ KA2-ის განხორციელებულ პროექტში „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა” (Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/ HEDR) უზრუნველყოფს დოქტორანტების მონაცემების ინტეგრირებას ქართველი მეცნიერებისა და მკვლევარების ინტერნაციონალიზაციის ხელისშეწყობის მიზნით შექმნილ სამეცნიერო პორტალზე. ჯიპას საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების სამეცნიერო პროფილები დაემატება არსებული დოქტორანტების პროფილებს.

**პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი:**

პროფესორი ბაკურ კვაშილავა  
 იეთიმ გურჯის ქ. #7ბ  
 თბილისი, 0105, საქართველო  
 ტელ: (995 32) 249 74 75  
 მობ: +995 599 420 794  
 e-Mail: [b.kvashilava@gipa.ge](mailto:b.kvashilava@gipa.ge)

**პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი:**

მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ნათია ჭიღვარია  
 იეთიმ გურჯის ქუჩა #9; თბილისი, 0105, საქართველო  
 ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: +995 577 728 228  
 იმეილი: [n.tchigvaria@gipa.ge](mailto:n.tchigvaria@gipa.ge)

**პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს.

**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი** მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. გარდა ამისა, სასწავლო სამეცნიერო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სამეცნიერო პროდუქციის (სამეცნიერო პუბლიკაციის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით) შექმნას, კვლევითი პროექტების მართვასა და სამეცნიერო კომერციალიზაციის უნარებს. ამ მიზნით, სასწავლო კომპონენტში მოცემულია როგორც სავალდებულო ასევე არჩევითი კომპონენტები, მათ შორის დარგობრივი სასწავლო კურსი. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.

**სავალდებულო კომპონენტები:** კვლევა და სამეცნიერო წერა, თვისებრივი კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები, პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები, მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება. თითოეული ამ სალექციო კურსის სილაბუსი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ეხმარება დოქტორანტს სწავლის შედეგების მიღწევაში. გარდა სალექციო კურსებისა, სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სავალდებულოა პროფესორის ასისტენტობის კომპონენტიც, რომელიც დასტურდება დოქტორანტის მიერ სწავლების დროს პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთან დაკავშირებული ერთი სასწავლო კურსის ასისტენტობით (საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურზე). დოქტორანტისთვის ასევე სავალდებულოა სადოქტორო სემინარის წარმატებით გავლა და შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტის დაცვა. სავალდებულო კურსებს განეკუთვნება დარგობრივი სასპეციალიზაციო საგანი - პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები, რაც ემსახურება პოლიტიკის მეცნიერების სფეროს განვითარების პროცესში გამოყენებული თეორიებისა და კვლევის სპეციფიკის გაცნობასა და ინტერდისციპლინური შესწავლის თაობაზე დეტალური წარმოდგენების შექმნას, რაც სწავლების პროცესში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ცოდნისა და გაცნობიერების, ასევე კვლევის უნარების დახვეწის კუთხით. სავალდებულო საგნების ჩამონათვალშია ასევე კურსი - მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მე-4 მიზნის მიღწევას და ამზადებს დოქტორანტს დამოუკიდებელი პოსტ-დოქტორალური საფეხურისთვის. ეს უკანასკნელი დასტურდება რუსთაველის ფონდში წარსადგენი განაცხადის (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი) მეშვეობით.

**არჩევითი კურსები:** დოქტორანტი საკუთარ ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ირჩევს ან სადოქტორო სემინარი II-ს, ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო კურსის/ებს გავლას არანაკლებ 10 კრედიტის მოცულობით (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში).

**სადოქტორო სემინარი** ეხმარება სტუდენტს მის მიერ შერჩეული სადისერტაციო თემატიკის მიღმა დახელოვნდეს პოლიტიკის მეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის მიმართულებით. სადოქტორო სემინარი II არჩევითია სადოქტორო სემინარი I-სგან განსხვავებით, რომელიც სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილია.

**სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი** მიზნად ისახავს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას და კვლევის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენს ჯერ პროსპექტუსის და შემდეგ კოლოქვიუმის დაცვა.

**პროსპექტუსი** წარმოადგენს მეორადი ლიტერატურის შესწავლისა და პრობლემური საკითხის შესახებ მოძიებული, მეორადი მონაცემების საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგებს. იგი სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი მონახაზია, რომელშიც მოცემულია საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება, კვლევის საზღვრები, ფოკუსი, მიზნები, ამოცანები და კვლევის კითხვა/კითხვები, შესაბამისი თეორიულ კონცეპტუალური საფუძვლებით.

**კოლოქვიუმი** არის სადისერტაციო კვლევის ნაწილი, ერთი დასრულებული თავის სახით. იგი უნდა ასახავდეს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხორციელებული თვისებრივი, რაოდენობრივი, ან შერეული კვლევის საფუძველზე შეგროვებული მონაცემების და ანალიზის შედეგებს. საკოლოქვიუმო თემას თან უნდა ახლდეს მოკლე შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები წარმოდგენილი კვლევის შედეგების შესაბამისობის დადგენისთვის. ამავდროულად, კოლოქვიუმის

თემა ასევე მოიცავს მონაცემების შეგროვების, ანალიზის მეთოდებისა და ტექნიკების დეტალურ აღწერას. შესაბამისად, საკოლოქვიუმო ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილ შედეგს/შედეგებს გააჩნია მეცნიერული ღირებულება თეორიული ან ემპირიული თვალსაზრისით.

გარდა კოლოქვიუმის და პროსპექტუსის დაცვისა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას ასევე წარმოადგენს არანაკლებ ორი საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაცია. იმ შემთხვევაში, თუკი ორივე პუბლიკაცია გამოქვეყნებულია საკონფერენციო მასალებში/შრომების კრებულში (conference proceedings), მინიმუმ ერთ პუბლიკაციაზე სავალდებულოა საერთაშორისო ექსპერტის რეცენზიის წარმოდგენა.

**სადოქტორო დისერტაცია** წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. დისერტაციაზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მეცნიერულ თვითგანვითარებაზე. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

**პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა N2**

საგნის კოდ	სასწავლო კომპონენტი	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>						წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
		პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი სამუშაო საათები				
სასწავლო კომპონენტი 55 კრედიტი		სემესტრები								
სავალდებულო საგნები		I	II	III	IV	V	VI			
PhDRSW02	კვლევა და სამეცნიერო წერა	5/125						არ გააჩნია	36	89

<sup>1</sup> კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

PhDMTM03	თვისებრივი კვლევის მეთოდები		5/125						კვლევა და სამეცნიერო წერა	20	105
PhDQRST04	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი		7/175						კვლევა და სამეცნიერო წერა	60	115
PhDMTM01	სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები	5/125							არ გააჩნია	36	89
PhDTA07	პროფესორის ასისტენტობა		5/125						სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები	30	95
PhDDS08	სადოქტორო სემინარი I			10/250					არ გააჩნია	18	232
PhDSMF05	მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება			5/125					არ გააჩნია	39	86
PhDPSD06	პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები	8/200							არ გააჩნია	44	156
	<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>	I	II	III	IV	V	VI				
PhDINT09	უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარგთან დაკავშირებული სადოქტორო კურსის/ების გავლა მინიმუმ 10 კრედიტის მოცულობით								არ გააჩნია		

PhDDS09	სადოქტორო სემინარი II				10/250			არ გააჩნია	18	232
	<b>სამეცნიერო კომპონენტი</b>									
	პროსპექტუსი				კი/არა					
	კოლოქვიუმი					კი/არა		პროსპექტუსი		
	სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა							პროსპექტუსი; კოლოქვიუმი; 2 საერთაშორის ო რეფერირებად ი პუბლიკაცია		

### სწავლის შედეგების რუკა N 3

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო და არჩევით საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: ა) I (Introduction) - გაცნობითი დონე ბ) D (Development of knowledge) - ცოდნის გაღრმავება; გ) M (Mastering) - ცოდნის განმტკიცება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - P (Practical application of knowledge/research). ასევე, შესაძლებელია, რომ სასწავლო კურსი გადიოდეს ID ან DM დონეზე.

ცხრილში მოცემულია აგრეთვე პროცენტული მაჩვენებლები (ნიშნულები), რაც რიგ შემთხვევაში ეყრდნობა სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული შეფასებების ტენდენციის ანალიზს, ხოლო რიგ შემთხვევაში სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის მოლოდინებს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 15%-ს.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე ფასდება პროგრამული შედეგები. პროგრამის შედეგებისთვის ნიშნულების შეფასება ხდება სადისერტაციო ნაშრომით. შედეგები ფასდება სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტების მიერ მიღწეული საშუალო შედეგების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება რვა კომპონენტით:

- ახალი ცოდნა, დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა - 10%
- კვლევის სისტემურობა და კავშირი კვლევის მიზნებსა და შედეგებს შორის - 10%
- კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტების დაცვა - 10%
